

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი
ანრი

„ვამტკიცებ“

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო
საინჟინრო სასწავლებელი ანრის

გენერალური დირექტორი / რექტორი



ა.დიასამიძე

18.01.2018წ.

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების
დე ბ უ ლ ე ბ ა


*Regulation to hold the announced open vacancy
for academic position*

ნდ № 2-010119

“შემზღვებელი”

გენერალური დირექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში

მ.დიასამიძე
18.01.2018წ.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation

to hold the announced open vacancy for academic position

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – გენერალური დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში მზია დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2018 წლის 18 იანვრის სენატის სხდომის ოქმი N2);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემმუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა პროცედურა. ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის სამსახურის მიერ;
6. არსებული პროცედურა ძალას კარგავს ახალი პროცედურის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**Regulation
to hold the announced open vacancy for academic position**

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	5
4. ძოგადი დებულება	7
5. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი..	7
5.1. კონკურსის გამოცხადება	8
5.2. საკონკურსო კომისიები	8
5.3. განცხადებების მიღება	9
5.4. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები	9
5.5. დოკუმენტების მიღების წესი	10
5.6. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები	11
5.7. საკონკურსო კომისია და მისი მუშაობის წესი	12
6. მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად	14
6.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსანტისადმი მოთხოვნები	14
6.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსანტისადმი მოთხოვნები.....	15
6.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსანტისადმი მოთხოვნები	15
7. საპროცედურო კომისია	15
8. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები	16
9. ფარული კენჭისყრა	16
10. ბათილი ბიულეტენი	16
11. გადაწყვეტილების მიღება	16
12. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი	17
13. შემოწმება. კონტროლი	17
14. რესურსები	17
15. პასუხისმგებლობათა და უფლებამოსილებათა განაწილება	17
16. ანგარიშგებითი ფორმები	18
17. კონფიდენციალურობა	18
დანართი 1. კანდიდატთა სარეგისტრაციო ჟურნალი	19
დანართი 2. კონკურსანტის პირადი საქმის აღწერა	20
დანართი 3. კონკურსანტის ანკეტა-განაცხადი	21
დანართი 4. ღია კონკურსის საარჩევნო ბიულეტენი	26
დანართი 5. განცხადების ბლანკის ფორმის ნიმუში	27
18. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი	28
19. პერსონალის დებულებასთანა გაცნობის ფურცელი	29
20. შეთანხმების ფურცელი	30



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation

to hold the announced open vacancy for academic position

1. გავრცელების სფერო

1. „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება“ განსაზღვრავს და აწესრიგებს შპს ბუსსს ანრიში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების, საარჩევნო კომისიების ფორმირებისა და ფუნქციონირების, საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის, არჩევნების ორგანიზაციისა და შედეგების გამოცხადების პროცესსა და წესს, კომისიის წევრთა უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს;
2. დებულება წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს, რითაც რეგულირდება საარჩევნო პროცესი და ვრცელდება არჩევნებში ჩართულ პერსონალზე;
3. დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში;
 - სასწავლო განყოფილება - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე (ელ. ვერსია);
 - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში (კადრების ინსპექტორთან) (ელ.ვერსია);
 - დოკუმენტის ელექტრონული ვერსია ასევე განთავსებულია შპს ბუსსს ანრის შიდა ქსელსა და ვებგვერდზე;
4. არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

დებულების შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:


1. ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
5. საქართველოს შრომის კოდექსი;
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
7. 2-010102 შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესი;
8. ნდ N2-020101 შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
9. ნდ 2-0201-01 „შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების, დანერგვისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა“;
10. ნდ 2-0201-02 „დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის, დოკუმენტალური უზრუნველყოფის პროცესის პროცედურა“.

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი** - რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **პერიოდული შემოწმება** - არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **ფაკულტეტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
4. **ხარისხის უზრუნველყოფა** - შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
5. **ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაცაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დეკლარაცია**

Regulation


to hold the announced open vacancy for academic position

სისტემატიური შეფასება, აგრეთვე შპს ბუსსს ანრის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად;

6. **სენატი (შპს ბუსსს ანრის სენატი)** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
7. **აკადემიური ხარისხი** – ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას;
8. **აკადემიური წოდება** – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის;
9. **პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
10. **ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
11. **ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
12. **ასისტენტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
13. **პროფესიული ნიშნის მქონე პირი** - ნიშნავს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირს, რომლის კომპეტენცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
14. **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;
15. **მაგისტრატურა** - აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
16. **დოქტორანტურა** – უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მიანიჭებით;
17. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
18. **სასწავლო განყოფილების უფროსი** - შპს უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ბათუმის სასწავლო განყოფილება -საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უფროსი

3.2. შემოკლებები

1. **შპს ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. **მფ** - მოქმედი ფორმა;
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation

to hold the announced open vacancy for academic position

- 4. ხარისხის სამსახური - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური;
- 5. სენატი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო;
- 6. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.


4. ზოგადი დებულებები

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონის „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საფუძველზე;
2. არსებული დებულება განსაზღვრავს და აწესრიგებს შპს ბუსსს ანრიში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების პირობებსა და წესებს;
3. დებულების მიზანია უზრუნველყოს შპს ბუსსს ანრის აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, სასწავლებლის აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და სასწავლებლის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.
- 4.1. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.
 - 4.1.1. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება: სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;
 - 4.1.2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს;
 - 4.1.3. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს სენატი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნებით;
 - 4.1.4. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
 - 4.1.5. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტით გათვალისწინებული წესით საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 თვით ადრე.

4.2. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ძირითადი პირობები

სასწავლებლის პროფესორის თანამდებობაზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით და არჩევის შემდეგი პირობების დაცვით:

- 1) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- 2) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან პროფესიული ნიშნის მქონე პირი (კაპიტანი და უფროსი მექანიკოსი), რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- 3) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი, ან პროფესიული ნიშნის მქონე პირი (კაპიტანი, კაპიტანის უფროსი თანაშემწე, უფროსი მექანიკოსი და მე-2 მექანიკოსი);
- 4) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში უზრუნველყოს სალექციო კურსისა და სამუშაო რეგულის (პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებების) მომზადება. იმ შემთხვევაში, თუ ერთი პირი ახორციელებს ერთ სალექციო კურსზე მეტს, იგი ვალდებულია ყოველ მომდევნო წელს მოამზადოს სალექციო კურსისა და სამუშაო რეგულის (სავარჯიშოების კრებული) თითო სალექციო კურსის;
- 5) პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არჩეული პირი ვალდებულია მოამზადოს ყოველწლიურად მინიმუმ ერთი სტუდენტი მაინც კონფერენციისთვის;
- 6) აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას (საშტატო და დამატებითი საათობრივი დატვირთვის ოდენობა) დგინდება შპს ბუსსს ანრის სენატის გადაწყვეტილების შესაბამისად;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation

to hold the announced open vacancy for academic position

- 7) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს **65 წელს მიღწეული პირი**. გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და სენატის გვადანწყვეტილებით;
- 8) აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- 9) მითითებული შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირთან წყდება შრომითი ურთიერთობა;
- 10) აკადემიური თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობები შეიძლება განისაზღვროს სენატის დადგენილების საფუძველზე, ან არსებული დებულების შესაბამისად.

5. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი


5.1 კონკურსის გამოცხადება და ჩატარების ვადები

- 5.1.1. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრიში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლების აკადემიურ თანამდებობებზე ასაყვანად, სასწავლებლის რექტორი (ან რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ან სასწავლო განყოფილების უფროსი) წარდგინებით, განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის შესაბამისად, აცხადებს ღია კონკურსს ბრძანებით;
- 5.1.2. ბრძანებაში უნდა განისაზღვროს: პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების საკონკურსო ადგილების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, კონკურსის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, კონკურსის ჩატარების ვადები;
- 5.1.3. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის;
- 5.1.4. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაცია უნდა უზრუნველყოს სასწავლო განყოფილების უფროსმა (ან სასწავლო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა);
- 5.1.5. საჯარო გაცნობისათვის კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება სასწავლებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა განისაზღვრება სასწავლებლის რექტორის ბრძანებით;
- 5.1.6. კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ იწყება კონკურსანტების დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომლის ხანგრძლივობაც განისაზღვრება სასწავლებლის რექტორის სამართლებრივი აქტით, არანაკლებ ორი კვირის განმავლობაში;
- 5.1.7. კონკურსი ტარდება დოკუმენტების მიღების ვადის დასრულების გასვლიდან არანაკლებ 10 სამუშაო დღის აგანმავლობაში.

5.2 საკონკურსო კომისია

კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება სასწავლებლის სენატის მიერ, რექტორის წარდგინებით.

საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს სასწავლებლის რექტორის, რექტორის მოადგილის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სასწავლებლის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლების, შესაბამისი დარგის (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან. კომისიის მუშაობისას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის ექსპერტი.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation

to hold the announced open vacancy for academic position

- 5.2.1. პირები, რომლებიც მონაწილეობენ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში, არ შეიძლება შეყვანილი იქნან საკონკურსო კომისიების შემადგენლობებში. ინტერესთა შეუთავსებლობის პრინციპიდან გამომდინარე, შპს ბუსსს ანრის რექტორი მონაწილეობას იღებს (თავმჯდომარეობს) მხოლოდ საპროცედურო კომისიის მუშაობაში. კომისია განიხილავს საკონკურსო პირობების დარღვევებსა და საფაკულტეტო საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილ შედეგებს;
- 5.2.2. შპს ბუსსს ანრის რექტორი ბრძანებით ამტკიცებს საფაკულტეტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობას და კონკურსის ჩატარების თარიღს სასწავლო განყოფილების უფროსის რეკომენდაციების საფუძველზე;
- 5.2.3. შპს ბუსსს ანრის რექტორს საკონკურსო კომისიის შემადგენლობისათვის წარუდგენს საზღვაო სწავლების სფეროში დასაქმებული 7 კანდიდატურის რეკომენდაციას. განხილვის შემდეგ შპს ბუსსს ანრის რექტორი ამტკიცებს კომისიის შემადგენლობას 5 წევრის ოდენობით, აქედან 3 ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობისათვის;
- 5.2.4. საკონკურსო კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის სხდომაზე;
- 5.2.5. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია და მისი საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში;
- 5.2.6. კომისიის სხდომა სავალდებულოა მოწვეულ იქნას კონკურსის თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ;
- 5.2.7. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე;
- 5.2.8. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას კომისიის ფუნქციონირების ადგილზე).


შენიშვნა: ვრცლად საკონკურსო კომისიისა და მისი მუშაობის წესის შესახებ გაწერილია არსებული დებულების პუნქტი 5.7-ში.

5.3 განცხადებების მიღება

- 5.3.1 კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია, საკონკურსო განაცხადი (იხ. დანართი 5) თანდართული დოკუმენტაციით, დადგენილი პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს (სამდივნოს), რომლის აკადემიური პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულია კონკურსი და რომელშიც კონკურსანტს სურს მონაწილეობა;
- 5.3.2 საბუთების მიღებას აწარმოებს საპროცედურო კომისია. მას დახმარებას უწევს ტექნიკური პერსონალი (სამდივნო), რომელთა ფუნქციებში შედის:
 - სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება;
 - განცხადებების ბლანკების გაცემა;
 - კონკურსანტებზე კონსულტაციების გაწევა;
 - ხელწერილების შედგენა წარმოდგენილი საბუთების შესაბამისად;
 - კონკურსის ამსახველი მასალების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
 - განცხადებების მისაღებად უნდა გამოიყოს სპეციალური სამუშაო ოთახი სათანადო პირობებით
- 5.3.3 კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება სასწავლებლის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ვადებში, ყოველდღიურად (კვირის გარდა), 10:00 საათიდან 16:00 საათამდე (შესვენება 13:00 საათიდან 14:00 საათამდე).

5.4 კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები

- 5.4.1 კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, საკონკურსო კომისიაში პირადად წარმოადგინოს განცხადება (დანართი 5), რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:
 - 1) სათანადო ფორმით შედგენილი ანკეტა (დანართი N3);
 - 2) კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation

to hold the announced open vacancy for academic position

დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);

- 3) უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- 4) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;
- 5) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, რომელიც საბუთების მიღებისას მოწმდება საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- 6) ტრენინგის, ან კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- 7) იმ საკონკურსო საგნების ნუსხა და შესაბამისი სილაბისები, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო და/ან სხვა სახის მეცადინეობების კურსის გაძღოლა;
- 8) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა ან მასთან გათანაბრებული საბუთი და დახასიათება/რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან;
- 9) პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სწავლების სტრუქტურის მოკლე აღწერა (სილაბუსი);
- 10) იმ საკონკურსო საგნების ნუსხა, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო და/ან სხვა სახის კურსის გაძღოლა;
- 11) პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
- 12) 2 ფოტოსურათი (ზომით 3X4);
- 13) სამედიცინო შემოწმების ცნობა ფორმა N100.


5.4.2 პროფესიული ნიშნით კონკურსში მონაწილე მუზღვაურებმა უნდა წარმოადგინონ:

- 1) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 2) მასზე გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატისთვის გავლილი საწვრთნელი კურსების დამადასტურებელი სერტიფიკატები (დედანი და ქსეროასლი);
- 3) სათანადო ფორმით შედგენილი ანკეტა, აგრეთვე მასში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ქსეროასლი);
- 4) მინიმუმ ორი დახასიათება დამსაქმებელი გემთმფლობელისაგან ან გემის მენეჯმენტისაგან;
- 5) მუზღვაურის კვალიფიკაციის და კომპეტენციის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი (დედანი და ქსეროასლი);
- 6) იმ საკონკურსო საგნების ნუსხა, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო და/ან სხვა სახის კურსის გაძღოლა;
- 7) პირადობის მოწმობის ქსეროასლი);
- 8) 2 ფოტოსურათი (ზომით 3X4);
- 9) სამედიცინო შემოწმების ცნობა ფორმა N100.

5.5 დოკუმენტების მიღების წესი

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებას ახორციელებს საპროცედურო კომისია;

- 1) შპს ბუსსს ანრის რექტორი ბრძანებით ამტკიცებს საკონკურსო კომისიაში წარსადგენი საბუთების ჩამონათვალს (იხ. **დანართები 1-5**);
- 2) განცხადების, ანკეტის, სარეგისტრაციო ჟურნალისა და სხვა ფორმებს ამტკიცებს სასწავლებლის სენატი და რეგულირდება შესაბამისი დებულებით;
- 3) კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნეს ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე;
- 4) განცხადებების მიღება ვიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში (იხ. **დანართი 1**), რომლის ყოველი გვერდი წესისამებრ დანომრილია, ხელმოწერილია და ბეჭედდასმულია რექტორის ხელწერითა და სასწავლებლის ბეჭდით;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation


to hold the announced open vacancy for academic position

- 5) სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებულია კონკურსანტის რიგითი ნომერი, მისი გვარი და სახელი, კვალიფიკაცია (სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული ცენზი და სხვ.), საკონკურსო სასურველი აკადემიური თანამდებობა, განცხადებების შემოტანის თარიღი, კონკურსანტის ხელწერა;
- 6) განცხადების მიღების შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე გაიცემა ცნობა განცხადების მიღების შესახებ - პირადი საქმის აღწერა (იხ. **დანართი 2**) – (ერთი ვარიანტი, მეორე რჩება მის პირად საქმეში), რომელშიც მითითებულია განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტის, მიმართულებისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ჩამონათვალი ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი;
- 7) საკონკურსო კომისიის მდივანი აწარმოებს კონკურსის მონაწილეთა განცხადების მიღებას, აღრიცხვასა და სისრულის შემოწმებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 8) განცხადების მიღების დასრულებისთანავე, საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე სარეგისტრაციო ჟურნალის ბოლო განაცხადის რეგისტრაციის შემდეგ აკეთებს ჩანაწერს შემოსული განაცხადებების საერთო რაოდენობის შესახებ. ჩანაწერს ადასტურებს ხელწერითა და სასწავლებლის ბეჭდით;
- 9) განცხადებების მიღების დროს დაშვებული შეცდომის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სარეგისტრაციო ჟურნალის გრაფაში „შენიშვნა“. დაუშვებელია სარეგისტრაციო ჟურნალში რაიმე სახის ჩასწორება;
- 10) სადაო საკითხის წამოჭრის შემთხვევაში გაკეთებული განაცხადის რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალში. აქვე კეთდება ჩანაწერები განაცხადის განხილვისა და კონკურსანტის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესახებ;
- 11) კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარმოდგენილი განაცხადი რეგისტრაციას არ ექვემდებარება;
- 12) განცხადებების განხილვის შედეგები კომისიის წევრთა კომენტარებით, აისახება კომისიის სხდომის ოქმში. ოქმის დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს განაცხადების განხილვის საბოლოო შედეგები განმარტებებით;
- 13) კონკურსანტს უფლება ეძლევა განაცხადების მიღების პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოს დამატებითი ან შესწორებული საბუთები;
- 14) კონკურსანტს უფლება ეძლევა განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ორი დღის ვადაში წარმოადგინოს დამატებითი ან შესწორებული საბუთები. დამატებით საბუთს იღებს პირადად კომისიის მდივანი და ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი უკვე არსებული საბუთის დამატება და კომისიის მიერ არის აუცილებლად მიჩნეული, როგორც უფრო სრულყოფილი;
- 15) დამატებითი საბუთის წარმოდგენის თაობაზე ჩანაწერი კეთდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ყველა შემდგომი დამატება და შესწორება დაუშვებელია;
- 16) ავტორიზაციის/აკრედიტაციის მიზნებისთვის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ასოცირებული კონკურსანტების აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი გადაწყდება ინდივიდუალურად, კონკურსანტის სასწავლებელთან ასოცირების მზაობის შესაბამისად;
- 17) სარეგისტრაციო ჟურნალი ინახება ფაკულტეტზე/ან სასწავლო განყოფილებაში, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ჟურნალებთან ერთად.

5.6 აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები

კონკურსანტების შეფასების სისტემა მაქსიმუმ 100 ქულიანია. აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

№	კრიტერიუმის დასახელება	Max ქულა	შენიშვნა
1	სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის შესაბამისობა არჩეულ მიმართულებასთან	10-15 ქულა	
2	სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება	5-10 ქულა	
3	სილაბუსი/სილაბუსები, რომლებიც ფასდება შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით	5-10 ქულა	
4	კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office Word, PowerPoint, XL) ცოდნა	5 ქულა	



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation


to hold the announced open vacancy for academic position

5	უცხო ენის/ენების ცოდნა (ინგლისური ენა, რუსული ენა)	5-10 ქულა	
6	საზღვაო ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილება	10 ქულა	
7	პუბლიკაციები:	40 ქულა	
	სახელმძღვანელო	10 ქულა	
	სამეცნიერო სტატია/ნაშრომი	10 ქულა	
	სამეცნიერო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა	5 ქულა	
	ტრენინგებში მონაწილეობა/კვალიფიკაციის ამაღლება	5 ქულა	
	პროფესიული სერტიფიკატები, სამუშაო დიპლომი	5 ქულა	
	სხვა აქტივობები (მაგ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა, თუ მას ითვალისწინებს საკონკურსო მიმართულება, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის ელექტრონული ვერსია, და სხვ.)	5 ქულა	
	ჯამი	100 ქულა	

შენიშვნა: შეფასების ერთ-ერთი პუნქტი არის **რუსული და/ან ინგლისური ენების ცოდნა**, დასაზუსტებელია, ის მომენტი, თუ როგორ დაადასტურებს თითოეული კონკურსანტი ამ ენების ფლობას. ჩემი წინადადება მდგომარეობს შემდეგში: სასწავლებელში წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით რეგულარულად ტარდება პედაგოგების ატესტაცია, რომელიც გულისხმობს თითოეულ მასწავლებელთან გასაუბრებას, სილაბუსების განხილვას, ღია ლექციის ჩატარებას და ა.შ.. თუ კონკურსანტს ექნება წარმოდგენილი მოქმედი უცხოენოვანი სილაბუსი, უახლოეს დროში ექნება გავლილი ატესტაცია, ან წარმოადგენს განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს (სერტიფიკატს) რომელიმე უზცოულ ენაზე, მაშინ ჩაითვალოს რომ ეს კონკურსანტი ფლობს მითითებულ უცხო ენას.

5.7 საკონკურსო კომისია და მისი მუშაობის წესი

- 5.7.1 აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარებასა და კონკურსანტების პროფესიულ შეფასებას უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომში - საკონკურსო კომისია);
- 5.7.2 საკონკურსო კომისია იქმნება და მისი შემადგენლობა მტკიცდება სასწავლებლის რექტორის ბრძანების შესაბამისად; საკონკურსო კომისია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. კომისიის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად;
- 5.7.3 საკონკურსო კომისია კონკურსანტების დოკუმენტაციის განხილვისას ვალდებულია იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი;
- 5.7.4 საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ვადით და წყდება კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე;
- 5.7.5 საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ, საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუადრეს მესამე დღისა დალუქულ მდგომარეობაში, საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ საკანცელარიო აღწერის დოკუმენტთან ერთად.
- 5.7.6 საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე;
- 5.7.7 საკონკურსო კომისია მუშაობას იწყებს კონკურსანტების ბოლო განაცხადის მიღების შემდეგ, არაუგვიანეს 2 დღისა. მუშაობის დაწყება ხდება საკონკურსო კომისიის პირველი სხდომის დანიშვნით. სხდომას ნიშნავს სასწავლო განყოფილების უფროსი მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ.
- 5.7.8 მოსამზადებელი სამუშაოები ითვალისწინებს:
- 5.7.9 კომისიისათვის სამუშაო პირობების უზრუნველყოფას მატერიალური რესურსებით: საბეჭდო ქაღალდით, სამუშაო ადგილით, კომპიუტერული და მამრავლი ტექნიკით;
- 5.7.10 ფინანსური რესურსების გამოყოფას საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის;
- 5.7.11 კომისიის უზრუნველყოფა სახელმძღვანელო შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტებით;
- 5.7.12 კომისიის წევრებისათვის შეტყობინებების დაგზავნას;




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული
ღია კონკურსის ჩატარების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation

to hold the announced open vacancy for academic position

- 5.7.13** საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება ბრძანებით დამტკიცებული შემადგენლობის 2/3;
- 5.7.14** საკონკურსო კომისიის პირველ სხდომაზე, რომელსაც ატარებს სასწავლო განყოფილების უფროსი, ხდება კომისიის თავმჯდომარის არჩევა ღია კენჭისყრის წესით, ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა (თუ თავმჯდომარეობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, სახელდება კომისიის სხვა წევრი). თავმჯდომარის არჩევის შემდეგ სასწავლო განყოფილების უფროსი უფლებამოსილებას გადასცემს თავმჯდომარეს და ტოვებს სხდომას;
- 5.7.15** კომისიის თავმჯდომარის რეკომენდაციით ხდება კომისიის მდივნის კანდიდატურის არჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა;
- 5.7.16** საკონკურსო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს დოკუმენტაციის მომზადებას კომისიის სხდომაზე განსახილველად. გარდა ამისა, მისი ფუნქციონალური მოვალეობაა სხდომის მიმდინარეობის სტენოგრაფიული ჩანაწერის წარმოება, რომლის საფუძველზეც დგება კომისიის სხდომის ოქმის შედგენა. სხდომის დასრულების შემდეგ ხელნაწერის საფუძველზე მდივანი ამზადებს სხდომის ოქმის ბეჭდვით ეგზემპლარს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს ეცნობა სხდომის მონაწილეები (გაცნობას ხელწერით ადასტურებენ);
- 5.7.17** კონკურსი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე ტარდება ცალკ-ცალკე;
- 5.7.18** შეუვსებელი ვაკანსიების დაკავება ხდება მხოლოდ განმეორებით გამოცხადებული ღია კონკურსის წესით;
- 5.7.19** დაუშვებელია საკონკურსო კომისიის მიერ აკადემიური თანამდებობების არსებულ ვაკანსიებზე სხვა აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის გადაყვანა/გადანაწილება;
- 5.7.20** კომისიის მუშაობის პროცესში თავმჯდომარე კომისიის წევრებს აცნობს ინფორმაციას საკონკურსო აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემოტანილი განაცხადების შესახებ. განაცხადების განხილვის შედეგები, კომისიის წევრთა კომენტარებით, აისახება კომისიის სხდომის ოქმში. ოქმის დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს განაცხადების განხილვის საბოლოო შედეგები განმარტებებით (თუ ვის და რატომ ეთქვა უარი კონკურსში მონაწილეობაზე);
- 5.7.21** კონკურსანტის მხრიდან ყალბი მონაცემების კონკურსის ძირითად პირობებთან არათავსებადობის შემთხვევაში კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან;
- 5.7.22** საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილე და კონკურსიდან მოხსნილი კონკურსანტების სიის განთავსებას თვალსაჩინო ადგილას;
